შპს ''ბახვი 2''

თბილისი **2025**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბახვი 2 ჰესის გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესახებ

მე გიორგი აბრამიშვილი, შპს „ბახვი 2“-ის - ბახვი 2 ჰესი (405121595) დირექტორი, ვამტკიცებ ქვემოთ მოცემულ ბახვი 2 ჰესის გარემოსდაცვით პოლიტიკას.

დირექტორი: გიორგი აბრამიშვილი

თბილისი
2025

დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

შპს „ბახვი 2“- ბახვი 2 ჰესის სამეთვალყურეო საბჭო:

- **გიგლა სიხარულიძე** – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
- **ირაკლი აბაიშვილი** – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- **ნანა ბერძენიშვილი** – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- **ტარას ნიჟარაძე** – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- **ვერნერ პანჰაუზერი** – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

სამეთვალყურეო საბჭო იღებს ვალდებულებას ზედამხედველობა გაუწიოს მოცემული გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებას, ფოკუსირებულია ანგარიშვალდებულების გაძლიერებაზე და უწყვეტ გაუმჯობესებაზე.

ეს ვალდებულება უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი სტანდარტების თანმიმდევრულ დაცვას და პროგრესის გამჭვირვალედ შეფასებას.

თბილისი
2025

სარჩევი

პრეამბულა 3
ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები 4
გარემოსდაცვითი მართვის სისტემა და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა 5
ანგარიშვალდებულებისა და შესაბამისობის მარეგულირებელი მოთხოვნები და კანონმდებლობა 5
გზა გაეროს გლობალური შეთანხმების წევრობისკენ 5
ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ გარემოს დაცვაზე 7
ჩვენი მიზნები 8
მდგრადობის მაჩვენებლები და შესრულების შეფასება 10
კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური გასაჯაროვება 15
დისტრიბუცია და ლოგისტიკა 17
გულდასმითი შესწავლა და შესყიდვები ბახვი 2 ჰესზე 18
ბიომრავალფეროვნების მართვა ბახვი 2 ჰესზე 19
როლები და პასუხისმგებლობები 20
მოცემული გარემოსდაცვითი პოლიტიკის დაფარვის არეალი 22
მესამე მხარის მიერ განხორციელებული მონიტორინგი 23
გარემოსდაცვითი პოლიტიკის წლიური გადახედვის პროცესი 23

შპს ბახვი 2
გარემოსდაცვითი პოლიტიკა

პრეამბულა

შპს „ბახვი 2“ - ბახვი 2 ჰესი - მიზნად ისახავს განახორციელოს საქმიანობა გარემოს მდგრადობის მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინებით. განახლებადი ენერგიის წარმოება და ამ საქმიანობის პასუხისმგებლობით წარმოება, ჩვენს უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს.

ჩვენი ვალდებულების განუყოფელი ნაწილია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და გარემოს დაბინძურების პრევენცია. როგორც გარემოსდაცვითი ვალდებულების ნაწილი, ჩვენ შევიმუშავეთ აღნიშნული გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რათა მისი გათვალისწინებით განისაზღვროს ჩვენი გადაწყვეტილებები და ქმედებები.

ჩვენ პასუხისმგებლობით ვმართავთ წყლის რესურსებს, ვცდილობთ მინიმუმამდე დავიყვანოთ ამ რესურსის არარაციონალური მოხმარება და უზრუნველვყოთ წყლის მდგრადი გამოყენება. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია ენერგიის მოხმარების, ნარჩენების წარმოქმნისა და ზოგადად, ნახშირბადის ნაკვალევის შემცირება. ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემა და გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ გაუმჯობესების შესაძლებლობები და განვახორციელოთ საჭირო ცვლილებები.

შპს „ბახვი 2“-ის სამეთვალყურეო საბჭო სრულად უჭერს მხარს აღნიშნულ პოლიტიკას და აქტიურად მონაწილეობს მის კონტროლში.

კომპანიის აღმასრულებელი მენეჯმენტი თანამშრომლობს გარემოსდაცვით, სოციალური და მმართველობის მენეჯერთან, გარემოსდაცვითი ინიციატივების განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული თანამშრომლობა ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზეც, კომპანიის დირექტორზე და ოპერირების გუნდზე რეგულარული შიდა შეხვედრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დროს.

ჩვენი გუნდი ახორციელებს რეგულარულ გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების შეფასებებს და შესაბამისად მათ გადასაჭრელად და შესამცირებლად ვაყალიბებთ სტრატეგიულ გეგმას. აღსანიშნავია, რომ ბახვი 2 ჰესის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, შესაბამისად შემუშავების ეტაპზეა ექსპლუატაციის ფაზის გარემოსდაცვითი მართვის სისტემა. შესაბამისი მონაცემები გარემოსდაცვითი ასპექტების, ნარჩენების წარმოქმნის, ენერგიის მოხმარების, წყლის მოხმარების, ხმაურის და ვიბრაციის შესახებ, იმართება ადგილობრივი კანონმდებლობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

თითოეული რისკის რანჟირება ხდება მისი შესაძლო სიმძიმის, წარმოშობის ალბათობისა და კანონის რეგულაციების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ცნობიერების ასამაღლებლად და ინფორმირებულობის გასაუმჯობესებლად, ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, როგორც პროფესიული განვითარების აქტივობების ნაწილი. ის ასევე ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის შესაბამისი საკომუნიკაციო არხებით, როგორიცაა კომპანიის ვებგვერდი, სამშენებლო მოედანზე ვიზიტი, კარდაკარ შეხვედრები და სხვა საშუალებები.

ჩვენი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, ისევე როგორც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სტანდარტების შესაბამისად, როგორიცაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB).

ჩვენ ვაწარმოებთ გამჭვირვალე ანგარიშგებას გარემოსდაცვითი საქმიანობისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებების შესახებ. აღნიშნული მიიღწევა სამეთვალყურეო საბჭოსთან რეგულარული შეხვედრების, შესაბამისი სამთავრობო უწყებებისთვის სავალდებულო ანგარიშგების, მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთქმედებისა და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების გზით.

მოცემული გარემოსდაცვითი პოლიტიკის დაცვით, მშენებლობის ბოლო ეტაპზე გადასვლისას, შპს „ბახვი 2“ კიდევ ერთხელ დასტურებს თავის ერთგულებას სუფთა ენერგიის წარმოებასა და გარემოს დაცვას შორის გონივრული და მდგრადი ბალანსის შენარჩუნების მიმართ. სწორედ ეს გარემოსდაცვითი პოლიტიკა განსაზღვრავს ჩვენ თითოეულ ნაბიჯს და უზრუნველყოფს, რომ დღევანდელი მოქმედებები დაეფუძნოს ხვალინდელი დღის მდგრად განვითარებას.

პროექტი ხორციელდება მდინარე ბახვისწყლის ეკოსისტემის გრძელვადიანი კეთილდღეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით. ჩვენი მიზანია, შევქმნათ გრძელვადიანი ღირებულებები, არა მხოლოდ განახლებადი ენერგიის წარმოებით, არამედ ბუნებრივი რესურსების დაცვით, რაც საბოლოოდ როგორც გარემოს, ისე ადამიანებისა და მომავალი თაობის მდგრადი განვითარების საფუძველი იქნება.

აღნიშნული პოლიტიკა დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭოსა და კომპანიის მენეჯმენტის მიერ, რაც ცხადყოფს გარემოზე ზრუნვის ძლიერ პასუხისმგებლობას ჩვენი მხრიდან.

ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას დავიცვათ ყველა მოქმედი გარემოსდაცვითი კანონი, რეგულაცია და შესაბამისი ნებართვების პირობები. გარდა ამისა, ჩვენ მუდმივად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი ეფექტურობა და ვეძიოთ ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად შეამცირებს ჩვენს ზემოქმედებას გარემოზე.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამთავრობო უწყებებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა ჩვენი გარემოსდაცვითი ინიციატივები შეესაბამებოდეს მათ ინტერესებს და ხელს უწყობდნენ ეკოსისტემის მდგრად განვითარებას.

გარემოსდაცვით პრაქტიკაში ვინარჩუნებთ გამჭვირვალობას და ჩვენი გარემოსდაცვითი მიზნების შესახებ ადგილობრივ სამთავრობო უწყებებთან და საზოგადოების წევრებთან შეხვედრის დროს რეგულარულად ვაფიქსირებთ მიღებულ შედეგებსა და ვავრცელებთ ინფორმაციას პროგრესის შესახებ. პასუხისმგებელნი ვართ ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებასა და გადასინჯვაზე.

ჩვენ გვწამს, რომ კარგად ინფორმირებული და ჩართული თანამშრომლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევაში. ტრენინგების ხელმისაწვდომობა, ხელს უწყობს თანამშრომელთა მონაწილეობას გარემოსდაცვით ინიციატივებში და ავითარებს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კულტურას ჩვენს გუნდში.

მოცემული გარემოსდაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით, ჩვენი მიზანია ვმართოთ ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგური მაქსიმალური სიფრთხილით, უზრუნველვყოთ უსაფრთხო გარემო და ჩვენი წვლილი შევიტანოთ მდგრადი მომავლის შექმნაში.

გარემოსდაცვითი მართვის სისტემა და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

გარემოსდაცვითი მდგრადობისადმი ჩვენი ერთგულება ვლინდება ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემისა და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის შეუფერხებელ ინტეგრაციაში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მხარს უჭერენ და ადასტურებენ, როგორც გარემოსდაცვითი მართვის სისტემის ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებას და მის რეგულარულ მონიტორინგს. ჩვენი მიზანია გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების მართვის მუდმივი გაუმჯობესება. ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემა წარმოადგენს მეთოდოლოგიურ საფუძველს ჩვენი საქმიანობის ყველა ასპექტთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით. ამავდროულად, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ ქმედებებსა და ვალდებულებებს გარემოსდაცვითი გამოწვევების შერბილების მიზნით. აღნიშული ყოვლისმომცველი მიდგომა არა მხოლოდ უზრუნველყოფს მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას, არამედ იძლევა ინდუსტრიის სტანდარტებთან სწრაფი ადაპტირების საშუალებას.

ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების გაერთიანებით ვავითარებთ ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და მუდმივი გაუმჯობესების კულტურას.

ანგარიშვალდებულებისა და შესაბამისობის მარეგულირებელი მოთხოვნები და კანონმდებლობა

ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა ადასტურებს ჩვენ ურყევ ერთგულებას სამართლებრივი ვალდებულებების მიმართ. ჩვენ გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი, სახელმწიფო და საერთაშორისო კანონისა და რეგულაციის დაცვა. ჩვენი პოლიტიკა საგულდაგულოდ არის შემუშავებული, რათა უზრუნველყოს ჩვენი ოპერირების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენი საქმიანობის რეგულარული შეფასებები ჩვენი მიდგომის განუყოფელი ნაწილია, რაც საშუალებას გვაძლევს პროაქტიულად გვქონდეს შესაბამისი რეაგირება. გარდა ამისა, ჩვენ განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებთ რეგულარულ ანგარიშგებაზე შესაბამისი ორგანოებისთვის, რაც უზრუნველყოფს ჩვენი გარემოსდაცვითი ინიციატივების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. შესაბამისობის პრიორიტეტების მინიჭებით, ჩვენ არა მხოლოდ ვამცირებთ საკანონმდებლო რისკებს, არამედ ხელს ვუწყობთ მდგრად პრაქტიკას და ვავლენთ ჩვენს ერთგულებას გარემოს დაცვისადმი. აღნიშნული მუდმივი ვალდებულება საფუძვლად უდევს ჩვენს გარემოსდაცვით პოლიტიკას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კომპანიის პასუხისმგებლობას გარემოს დაცვაზე.

გზა გაეროს გლობალური შეთანხმების წევრობისკენ

გლობალური მდგრადობის სტანდარტებთან შესაბამისობის კრიტიკული მნიშვნელობის აღიარებით, შპს „ბახვი 2“-მა დაიწყო სტრატეგიული სვლა გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპთან (ათი პრინციპი | გაეროს გლობალური შეთანხმება) სინქრონიზაციისთვის.

ეთიკური ბიზნეს პრაქტიკის გატარებითა და გარემოს დაცვისადმი ერთგულებით, კომპანიამ წამოიწყო საფუძვლიანი შესაბამისობის პროცესი გაეროს გლობალური შეთანხმების ფუნდამენტური პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად.

2024 წლის მაისში, საფუძვლიანი მომზადებისა და მდგრადი ინიციატივებისადმი ერთგულების საფუძველზე, შპს „ბახვი 2“-მა განაცხადი წარადგინა გაეროს გლობალური შეთანხმების წევრობისთვის, რომელიც დაუყონებლივ იქნა მიღებული.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „ბახვი 2“ 2024 წლამდე არ წარმოადგენდა გაეროს გლობალური შეთანხმების ოფიციალურ წევრს, კომპანია აქტიურად ახორციელებდა და ეთანხმებოდა იმ ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრული და აღიარებულია გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ. კომპანია აღიარებდა და იზიარებდა გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ წამოყენებულ ძირითად პრინციპებს. აღნიშული სტრატეგიული მიდგომა ხაზს უსვამს კომპანიის ერთგულებას ეთიკური, მდგრადი და სოციალურად პასუხისმგებელიანი ბიზნეს პრაქტიკასის მიმართ.

გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპების ნებაყოფლობით დაცვით, შპს „ბახვი 2“ პოზიციონირებს, როგორც პასუხისმგებლიანი კორპორატიული ერთეული. კომპანია მაქსიმალურად ცდილობს, რომ მისი საქმიანობა შეესაბამებოდეს გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური მმართველობის საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშული პროაქტიული პოზიცია ასახავს კომპანიის ვალდებულებას, შეიტანოს პოზიტიური წვლილი გლობალურ ბიზნეს გარემოში.

შპს „ბახვი 2“-ის მიერ ზემოხსენებული პრინციპების აღიარება და ინტეგრაცია ცხადყოფს მკაფიო და ორიენტირებულ ძალისხმევას იმ ღირებულებების შესანარჩუნებლად, რომლებიც ეხმიანება მდგრადი და პასუხისმგებლიანი ბიზნესის უფრო ფართო მიზნებს.

ქვემოთ ასახულია, თუ როგორ ვახორციელებთ ამ პრინციპებს ჩვენს საქმიანობაში:

1. ***ადამიანის უფლებები***
   - ჩვენი პოლიტიკა და პროცედურები მკაცრად უზრუნველყოფს, რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებები;
   - რეგულარულად ვაწვდით ინფორმაციას ჩვენს თანამშრომლებს ადამიანის უფლებების პრინციპებსა და პასუხისმგებლობებზე.

2. ***შრომითი უფლებების უზრუნველყოფა***
   - ჩვენ მკაცრად ვგმობთ იძულებითი შრომის ნებისმიერ ფორმას;
   - ბავშვთა შრომა დაუშვებელია;
   - ბახვი 2 ჰესზე დასაქმების კონტექსტში დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.
3. ***გარემოს დაცვა***
   - ჩვენ შევიმუშავეთ პრევენციული მიდგომა გარემოსდაცვითი გამოწვევების მიმართ;
   - შპს „ბახვი 2“ აქტიურად უწყობს ხელს გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების განვითარებასა და გავრცელებას.
4. ***ანტიკორუფციული ღონისძიებები***
   - კომპანიის ქცევის კოდექსი და შრომითი ხელშეკრულებები შეიცავს სავალდებულო პუნქტებს, რომლებიც ხაზს უსვამს კომპანიის ანტიკორუფციულ პოლიტიკას.
5. ***მუშაობისა და სტრატეგიების ინტეგრირება***
   - ჩვენ შეუფერხებლად ვნერგავთ გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებს ორგანიზაციის საქმიანობაში.
6. ***დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:***

- შპს "ბახვი 2“ აქტიურად თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან მდგრადი განვითარებისადმი ერთობლივი მიდგომის შესაქმნელად და განსახორციელებლად;
- გვსურს მივიღოთ დეტალური გამოხმაურება მათგან, ვინც მონაწილეობს მდგრადობის ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში.

7. გამჭვირვალობა და ანგარიშგება

- ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით ვასაჯაროებთ კომპანიის მიზნებს, ამოცანებსა და მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

8. უწყვეტი განვითარება

- ჩვენ მუდმივად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ კომპანიის სოციალური, გარემოსდაცვითი და ეთიკური საქმიანობა;
- ჩვენ რეგულარულად მიმოვიხილავთ პოლიტიკის დოკუმენტებსა და პრაქტიკებს, რათა ისინი წარმოშობილი გამოწვევების გადასაჭრელად საჭიროებისამებრ განახლდეს;

9. შესაძლებლობების განვითარება

- შპს „ბახვი 2“ თანამშრომლებს სთავაზობს ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებს, მდგრადი განვითარების საკითხების უკეთ გასაცნობიერებლად;
- ჩვენ აქტიურად ვეხმარებით პარტნიორებსა და მომწოდებლებს ეთიკური ბიზნეს პრაქტიკის დანერგვაში;

10. ადვოკატირება და ლიდერობა

- ჩვენი კომპანია რეგულარულად მონაწილეობს ინდუსტრიის ფორუმებსა და კამპანიებში, რომლებიც მხარს უჭერენ ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას.

ამ ქმედებების განხორციელებით, შპს „ბახვი 2“ ავლენს ერთგულებას ეთიკური და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკისადმი, რაც უზრუნველყოფს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ გარემოს დაცვაზე

შპს „ბახვი 2“-ის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს კომპანიის გავლენა გარემოზე და ხელი შეუწყოს მდგრადი მეთოდების გამოყენებას, ბახვი 2 ჰესის მთელი სასიცოცხლო ციკლის პროცესში. მოცემული გარემოსდაცვითი პოლიტიკა აღწერს ჩვენს მიზნებსა და პრინციპებს, რომლებიც წარმართავს ჩვენს მუშაობას გარემოსდაცვითი ზემოქმედების მინიმუმადე შესამცირებლად:

1. მუდმივად ვიცავთ ყველა მოქმედ გარემოსდაცვით კანონს, წესებს, რეგულაციებს და სტანდარტების;
2. ვნერგავთ მდგრად პრაქტიკას ბახვი 2 ჰესის ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის ყველა ასპექტში, გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით;
3. ვცდილობთ მივაღწიოთ მაქსიმალურ ენერგოეფექტურობას ენერგიის დაზოგვის ღონისძიებების დანერგვითა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია;
4. წყლის რესურსების დაზოგვის მიზნით ვამცირებთ წყლის მოხმარებას, და ვახორციელებთ წყლის ხარჯვის შესამცირებელ ღონისძიებებს;
5. უზრუნველვყოფთ ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას, გადამუშავებასა და ხელახალი გამოყენების წახალისებას. ასევე უზრუნველვყოფთ სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო განკარგვას;

6. ვიცავთ ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას და ვინარჩუნებთ ბუნებრივ ჰაბიტატებს ადგილობრივ ფლორასა და ფაუნაზე ზრუნვით. წყლის ბიომრავალფეროვნებაზე ნეგატიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ვახორციელებთ შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს;
7. უზრუნველვყოფთ ადგილობრივი მოსახლეობისა და თანამშრომლების გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა. ასევე, მათ აქტიურ მონაწილეობას გარემოსდაცვით ინიციატივებში;
8. ვატარებთ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებულ კვლევებს და ყველა შესაბამის გარემოსდაცვით მონიტორინგს;
9. უზრუნველვყოფთ გარემოსდაცვითი მართვის პერიოდულ შეფასებასა და აუდიტს. დავნერგეთ საჩივრების მექანიზმი და თანამშრომელთა სასწავლო პროგრამები.

ჩვენი მიზნები

ბახვი 2 ჰესის მუშაობა რესურსების მოხმარების მინიმუმამდე დაყვანის მტკიცე მიზანს ემყარება. ეს მოიცავს წყლის ეფექტურ გამოყენებას, ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციას, ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებას და მჭიდრო ურთიერთობებს ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ჩვენი ყველა მიზანი შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, განსაკუთრებით მიზანი 1 - არა სიღარიბეს, მიზანი 3 - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება, მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა, მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია, მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია, მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა, მიზანი 14 - წყალქვეშა რესურსები, მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები, მიზანი 17 - გლობალური თანამშრომლობა.

2025 წლის მიზნები და შესაბამისი შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

#	ბახვი 2 ჰესი - 2025 წლის მიზნები	კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან [1]	საზომი ერთეული	დასახული გეგმა 2025	მიღწეული გეგმა 2025
1.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	#	4	4
2.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახების რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	#	171	171
3.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	#	487	497
4.	სოციალურ პროექტებზე გამოყოფილი ბიუჯეტის საერთო რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	$	67,800	68,500
5.	განხორციელებული სოციალური პროექტების რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	#	5	5
5.1	განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	მიზანი 4 ხარისხიანი განათლება	#	2	2

[1] *193 ქვეყნის მიერ მიღებული მდგრადი განვითარების მიზნები არის 17 გლობალური შეთანხმება, რომელიც შემუშავებულია გაეროს მიერ, რომლის მიზანია მსოფლიოს გარდაქმნა 2030 წლისთვის.*

5.2	სპორტის წახალისებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტების რაოდენობა	მიზანი 3 ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	#	1	1
5.3	საგანმანათლებლო პროგარმებით მოსარგებლე მოსწავლეების რაოდენობა	მიზანი 4 ხარისხიანი განათლება	#	35	32
5.4	განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა	მიზანი 9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა	#	1	1
5.5	გაუმჯობესებული ეკონომიკური ინფრასტრუქტურით მოსარგებლე ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა	მიზანი 9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა	#	487	497
5.6	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განხორციელებული სოციალური პროექტების რაოდენობა	მიზანი 10 შემცირებული უთანასწორობა	#	1	1
5.7	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განხორციელებული პროგრამით მოსარგებლეების რაოდენობა	მიზანი 10 შემცირებული უთანასწორობა	#	28	33
6.	სრული განაკვეთით დასაქმებულთა რაოდენობა მშენებლობის პიკში	მიზანი 8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	#	226	226
8.	სრული განაკვეთით დასაქმებულთა რაოდენობა წყლის ბოლოს	მიზანი 5 გენდერული თანასწორობა	#	159	159
9.	სრულ განაკვეთზე დასაქმებული ქალების რაოდენობა	მიზანი 5 გენდერული თანასწორობა	#	19	22
10.	ქალების რაოდენობა კომპანიის მენეჯმენტში	მიზანი 5 გენდერული თანასწორობა	#	2	2
11.	სამეთვალყურეო საბჭოში ქალი წევრების რაოდენობა	მიზანი 5 გენდერული თანასწორობა	#	1	1
12.	ჩატარებული გეოლოგიური კვლევების რაოდენობა	მიზანი 9 მრეწველობა, ინოვაცია, ინფრასტრუქტურა	#	1	1
13.	მდ.ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიზნით ჩატარებული კვლევების რაოდენობა	მიზანი 14 წყალქვეშა რესურსები	#	3 სეზონური კვლევა	3 სეზონური კვლევა

14.	ჩატარებული ბიომრავა;ფეროვნების კვლევების რაოდენობა	მიზანი 15 დედამიწის ეკოსისტემები	#	2 სეზონური კვლევა	2 სეზონური კვლევა

მდგრადობის მაჩვენებლები და შესრულების შეფასება

შპს „ბახვი 2“ მოწოდებულია უზრუნველყოს მკაფიო, გამჭვირვალე და ზუსტად განსაზღვრული მდგრადობის მაჩვენებლები, რომლებიც სრულად შეესაბამება ჩვენს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით მიზნებს და ხელს უწყობს უწყვეტ პროგრესსა და გაუმჯობესებას.

ანგარიშვალდებულებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, ჩვენ დავნერგეთ ძირითადი შესრულების მაჩვენებლები, რომლებიც მოიცავს კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებას. აღნიშნული მაჩვენებლები რეგულარულად მოწმდება, ხოლო ყოველწლიური მიმოხილვების საფუძველზე ვაფასებთ მიღწეულ პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში ვასწორებთ ჩვენს სტრატეგიას.

ჩვენი მდგრადობის მაჩვენებლები მოიცავს შემდეგ ძირითად კატეგორიებს:

- *წყლის მართვა და ეფექტურობა*

მშენებლობის ეტაპზე მყოფი ბახვი 2 ჰესი სრულად მოწადინებულია პასუხისმგებლიანი წყლის რესურსების მართვისკენ. ჩვენი მიდგომა პროექტის დასაწყისიდანვე დაფუძნებულია მდგრადი მოხმარების პრინციპებზე და უმაღლეს პრიორიტეტს ანიჭებს წყლის რესურსების დაცვას. გარემოსდაცვითი ნებართვით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე წყალი ძირითადად გამოიყენება საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის. ასევე ტექნიკური მიზნებისთვის, როგორიცაა ხანძარსაწინააღმდეგო პრევენცია, გზების მორწყვა.

ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებთ წყლის საერთო მოხმარებას, თვალყურს ვადევნებთ მის ეფექტიანობას და უზრუნველვყოფთ, რომ გარემოში დაბრუნებული წყალი აკმაყოფილებდეს ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული მიზნებით 2025 წელს მოხმარებული წყლის საშუალო რაოდენობამ 3,600 m^3 შეადგინა.

გარემოსდაცვითი ნებართვის მოთხოვნების შესაბამისად, ბახვი 2 ჰესზე დამონტაჟებულია ავტომატური ხარჯმზომი სადგური, რომელიც უწყვეტ რეჟიმში აკვირდება მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენს. აღრიცხული მონაცემები კვარტალში ერთხელ იგზავნება გარემოს ეროვნულ სააგენტოში. 2025 წელს დაფიქსირებული მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის რაოდენობამ 2.43m^3/წმ შეადგინა.

- *ნარჩენების შემცირება*

ჩვენი მიზანია ნარჩენების წარმოქმნის შემცირება და მათი პასუხისმგებლიანი მართვა, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ გარემოზე ზემოქმედება. ნარჩენების მართვისა და შემცირების სტრატეგია ეფუძნება მკაფიო მაჩვენებლებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს რეგულარულად შევაფასოთ პროგრესი, განვსაზღვროთ მიზნები და უზრუნველვყოთ გაუმჯობესება.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირების მაჩვენებელი:

- ჩვენ ვაკონტროლებთ ოპერირებიდან წარმოქმნილი ნარჩენების წლიურ შემცირებას. შემცირების კონკრეტული მიზნების განსაზღვრით, ვცდილობთ ნარჩენების რაოდენობისა და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას.
- ბახვი 2 ჰესი საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის ასოციაციის წევრია და მონაწილეობს ეროვნულ ინიციატივაში, რომელიც მიზნად ისახავს ნარჩენების

მართვისა და გადამუშავების ეფექტიან სისტემაში ინტეგრირებას. ეს პარტნიორობა უზრუნველყოფს, რომ ჩვენი ნარჩენები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზედამხედველობით გადამუშავდება, რაც ხელს უწყობს რესურსების მდგრად გამოყენებას. საქართველოს გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად, კომპანია წინასწარ იხდის გადამუშავების საფასურს, რაც უზრუნველყოფს ნარჩენების პასუხისმგებლიან მართვას საქართვლოს კანონმდებლობის სრული დაცვით. ამ ინიციატივების ფარგლებში, ჩვენ ვცდილობთ ნარჩენების ნაგავსაყრელებში მოხვედრის თავიდან აცილებას, ხელს ვუწყობთ ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას და ვამტკიცებთ ჩვენს ერთგულებას გარემოსდაცვითი მდგრადობისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიმართ.

- სახიფათო ნარჩენების მართვა და შესაბამისობა: ჩვენ მკაცრად ვაკონტროლებთ სახიფათო ნარჩენებს და უზრუნველვყოფთ უსაფრთხო პროცესების დაცვას გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. ჩვენი მიზანია, სრულიად გამოვრიცხოთ შეუსაბამობები სახიფათო ნარჩენების რეგულაციებთან და უზრუნველვყოთ შესაბამისობის მაქსიმალური დონე.

ბახვი 2 ჰესი მტკიცედ იცავს ნარჩენების მდგრადი მართვის პრინციპებს და მიზნად ისახავს ნარჩენების გენერაციის შემცირებას სისტემური და გააზრებული მიდგომებით. აღნიშნული მიზნის მხარდასაჭერად, კომპანიამ 2025 წელს განაახლა და წარმატებით ახორციელებს ნარჩენების მართვის ყოვლისმომცველ გეგმას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ (შეთანხმების N 21/11993). გეგმა დეტალურად განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების, დახარისხების, ტრანსპორტირების, დამუშავებისა და უტილიზაციის პროცესებს და უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობას როგორც ეროვნულ გარემოსდაცვით მოთხოვნებთან, ისე კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან. აღნიშნული გეგმა წარმოადგენს კომპანიის პასუხისმგებლიანი გარემოსდაცვითი პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს და ასახავს მის ერთგულებას მდგრადი განვითარების პრინციპების მიმართ.

მაჩვენებელი	**ფაქტობრივი '25**
საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირების მაჩვენებელი	36 000 კგ/წ
მწარმოებლის გაფართოებულ პასუხისმგებლობის ასოციაციის მიერ მართული ნარჩენების გადამუშავების მაჩვენებელი	100%
საშიში ნარჩენების მართვის შესაბამისობა	დიახ

- *ენერგოეფექტურობა და ემისიების შემცირება*
  - შპს „ბახვი 2", რომელიც ამჟამად მშენებლობის ეტაპზეა და ოპერირების ეტაპზე გადასასვლელად ემზადება, მოწადინებულია ექსპლუატაციაში შესვლისთანავე გაზარდოს განახლებადი ენერგიის გამომუშავება და მინიმუმამდე დაიყვანოს სათბურის აირების ემისიების რაოდენობა. ჩვენი მდგრადობისა და ემისიების შემცირების გეგმით უკვე განსაზღვრულია მშენებლობის განმავლობაში წარმოქმნილი პირდაპირი (Scope 1) და არაპირდაპირი (Scope 2) ემისიების აღრიცხვა და კონტროლი. ენერგოეფექტიანობის ხელშესაწყობად და ემისიების შემცირების მიზნების მისაღწევად კი საწყისი მაჩვენებლები ჰესის ოპერირების დაწყებისთანავე განისაზღვრება.

  - 2023 წელს მშენებლობის დაწყებისთანავე შპს „ბახვი 2" აღრიცხავს პირდაპირი (Scope 1) და არაპირდაპირი (Scope 2) ემისიების მაჩვენებლებს, ხოლო 2024 წლიდან დაიწყო სხვა არაპირდაპირი (Scope 3) ემისიების კონტროლიც, რაც უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების მკაფიო და ზუსტ შეფასებას

- ბახვი 2 ჰესი იღებს ვალდებულებას, ემისიების შემცირების გლობალურად აღიარებული სტანდარტების დაცვისა და კლიმატზე დადებითი ზემოქმედების ხელშეწყობისათვის. ვალდებულების ფარგლებში, კომპანია ორიენტირებულია მეცნიერულად დასაბუთებული მიზნებისკენ (SBTi), რომლებიც შეესაბამება პარიზის შეთანხმების მიზანს – გლობალური ტემპერატურის ზრდის 2°C-ზე ქვემოთ შენარჩუნებისაკენ, რათა ტემპერატურა 1.5°C-ის ფარგლებში დარჩეს. აღნიშნული მიდგომა კომპანიის მდგრადი განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. ეს მიზნები განსაზღვრავს მკაფიო და გაზომვად სტრატეგიას პირდაპირი (Scope 1), არაპირდაპირი (Scope 2) და სხვა არაპირდაპირ (Scope 3) კატეგორიებში სათბურის გაზების ემისიების შესამცირებლად და ამავდროულად, ხაზგასმით აჩვენებს პროგრესს თავიდან აცილებული ემისიების თვალსაზრისით.

- გაეროს გლობალური შეთანხმების (UN Global Compact) აქსელერაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის (SBTi) სესიებმა, კომპანიას შესაძლებლობა მისცა ემისიების უფრო ზუსტი და სრულყოფილი გაანგარიშების განხორციელების თვალსაზრისით, როგორც პირდაპირ (Scope 1), არა პირდაპირი (Scope 2) და სხვა არაპირდაპირ (Scope 3) კატეგორიებში, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ანგარიშგებისა და მიზნების დასახვის მეთოდოლოგია.

- მას შემდეგ, რაც შპს „ბახვი 2“ მშენებლობის ეტაპიდან ოპერირების ეტაპზე გადავა, დადგინდება საბაზისო მაჩვენებელი, განახლდება მონაცემები და კომპანია 2030 წლისთვის ამ მაჩვენებლის 30%-ით შემცირებაზე იზრუნებს

Type Of Data	Q1	Q2	Q3	Q4	ფაქტობრივი '25
Scope 1 (tCo2eq/წელი)	400	550	662	526	2138
Scope 2 (tCo2eq/წელი)	23,38	11	8	13	55
Scope 3 (tCo2eq/წელი)	219	51	24	20	314
არიდებული ემისიები (tCo2eq/წელი**)**	-	-	-	-	-

- პირდაპირი ემისიები (Scope 1): მიზნად გვაქვს პირდაპირი ემისიების 30%-ით შემცირება 2030 წლისთვის, საწყის მაჩვენებლად კი აღებული იქნება პირველი სრული ოპერაციული წელი

- არა პირდაპირი ემისიები (Scope 2): მიზნად გვაქვს არა პირდაპირი ემისიების 30%-ით შემცირება 2030 წლისთვის, საწყის მაჩვენებლად კი აღებული იქნება პირველი სრული ოპერაციული წელი

- სხვა არა პირდაპირი ემისიები (Scope 3): ვიღებთ ვალდებულებას, შევინარჩუნოთ არაპირდაპირი ემისიები პირველი სრული ოპერაციული წლის საბაზისო დონეზე და და შესაძლებლობის ფარგლებში, ვიზრუნოთ მის შემცირებაზე.

მდგრადი განვითარების ინიციატივებისა და ემისიების შემცირების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ კომპანიის მდგრადი განვითარების და ემისიების შემცირების გეგმა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია შპს „ბახვი 2“-ის კორპორაციულ ვებგვერდზე: https://bakhvihpp.com

- *ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემის მდგრადობა*

ბახვი 2 ჰესი პასუხისმგებლობას იღებს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ეკოსისტემის მდგრადობის უზრუნველყოფაზე. რეგულარული მონიტორინგისა და მიზნობრივი კონსერვაციის ინიციატივების მეშვეობით, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ადგილობრივი

ეკოსისტემის შენარჩუნებისა და იმ სახეობების დაცვისათვის, რომლებიც ეკოსისტემის ბალანსის შენარჩუნებაზე არიან დამოკიდებულნი.

- ჩვენ ვატარებთ სეზონურ კვლევებს, რომელსაც ახორციელებენ დამოუკიდებელი ექსპერტები, რათა შევაფასოთ ბიომრავალფეროვნება, დავაკვირდეთ თევზის პოპულაციების, მაკროუხერხემლოების და მდინარის ნაპირებთან არსებულ ჰაბიტატში მცხოვრები სხვა სახეობების დინამიკას. ამგვარი მონიტორინგები საშუალებას გვაძლევს გავზომოთ გატარებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობა, შევაფასოთ ადგილობრივი ეკოსისტემის ზოგადი მდგრადობა და დროულად გამოვავლინოთ საჭირო დამატებითი ქმედებები, მისი დაცვისა და გაძლიერებისთვის.
- ჩვენ სისტემურად ვაფასებთ და ვაკონტროლებთ ჰაბიტატების დაცვისა და აღდგენის პროგრესს, განსაკუთრებული ყურადღებით იმ ეკოსისტემებზე, რომლებიც ჩვენი ოპერირების ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ. ეს პროცესები მოიცავს ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და სამოქმედო სტრატეგიების დანერგვას, რომლებიც მიზნად ისახავს პოტენციური ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირებას და ჰაბიტატების ბუნებრივი რეგენერაციის ხელშეწყობას.
- ჩვენ ვაკონტროლებთ იმ კონსერვაციული ღონისძიებების ეფექტურობას, რომლებიც მიზნად ისახავს წყლის ბიომრავალფეროვნების დაცვასა და შენარჩუნებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, ხოლო სადაც შესაძლებელია ზემოქმედების სრულად არიდებას

ჩვენ ვატარებთ მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების სეზონურ მონიტორინგს, წელიწადში სამჯერ, დამოუკიდებელი, მესამე მხარის სპეციალისტის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ პროცესში ფასდება სახეობების მრავალფეროვნება, მათი პოპულაცია და ჰაბიტატში განხორციელებული შესაძლო ცვლილება. დამოუკიდებელი მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობა და მთლიანობაში გავიაზროთ ადგილობრივი ეკოსისტემის მდგრადობა. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე კომპანიას აქვს დროული რეაგირების შესაძლებლობა, თუ საჭირო ხდება დამატებითი გარემოსდაცვითი ზომების გატარება. ერთიანი, თანმიმდევრული მიდგომა მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნებაზე დადებით გავლენას უზრუნველყოფს.

მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგად კვლავ დაფიქსირდა მხოლოდ ერთი - ნაკადულის კალმახი. იქთიოლოგმა კვლევის დროს 8 ინდივიდის მოპოვება შეძლო, რომელთა ჯამური ბიომასა 187 გრამს შეადგენდა. მაკროუხერხემლოთა მრავალფეროვნება წარმოდგენილი იყო 9 რიგითა და 33 ოჯახით, რაც წყლის ბიოლოგიური გარემოს კარგ მდგომარეობაზე მიუთითებს.

შპს „ბახვი 2“ ატარებს მესამე მხარის, დამოუკიდებელი სპეციალისტების მიერ სეზონურ ბიომრავალფეროვნების კვლევებს. აღნიშნული კვლევების მიზანია ადგილობრივი ჰაბიტატის შეფასება და დაცვა, ასევე ცხოველების, ფრინველების, ამფიბიებისა და რეპტილიების მონიტორინგი. კვლევები უზრუნველყოფს მშენებლობის პროცესში მიმდინარე ცვლილებების მონიტორინგს და პროექტის მუდმივ შესაბამისობას გარემოს დაცვის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

მაჩვენებელი	**ფაქტობრივი '25**
კვლევის დროს დაფიქსირებული ძუძუმწოვრების სახეობების რაოდენობა	9
კვლევის დროს დაფიქსირებული, საქართველოს წითელი წიგნით დაცული ძუძუმწოვრების სახეობების რაოდენობა	2

კვლევის დროს დაფიქსირებული ჩიტების სახეობების რაოდენობა	27
კვლევის დროს დაფიქსირებული, წითელ ნუსხაში მყოფი ჩიტების სახეობების რაოდენობა	0
კვლევის დროს დაფიქსირებული რეპტილიებისა და ამფიბიების სახეობების რაოდენობა	9
კვლევის დროს დაფიქსირებული, IUCN-ისა და საქართველოს წითელი ნუსხით დაცული რეპტილიებისა და ამფიბიების სახეობების რაოდენობა	2
კვლევის დროს დაფიქსირებული ღამურების სახეობების რაოდენობა	9

- *დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და გავლენა ადგილობრივ თემებზე*

- ბახვი 2 ჰესი მიზანმიმართულად მოქმედებს თანამშრომლების, ადგილობრივი თემებისა და პარტნიორების შედეგობრივი ჩართულობისათვის, რათა გააძლიეროს გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების ინიციატივები.

- ჩვენი სტრატეგია ეფუძნება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კულტურის გაძლიერებას, საზოგადოების ჩართულობის მხარდაჭერას და მომწოდებლებისა და პარტნიორების მდგრადობის მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რათა საერთო ეკოლოგიური და სოციალური გავლენა იყოს მაქსიმალურად პოზიტიური.

- ჩვენ ვაფასებთ თანამშრომლების მონაწილეობას ისეთ აქტივობებში, როგორიცაა ენერგოეფექტურობის პრაქტიკები, ემისიების შემცირების ინიციატივები და ბიომრავალფეროვნების დაცვის პროექტები.

- მათი ჩართულობის ზრდა ხელს უწყობს მდგრადი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებას, სადაც ყველა თანამშრომელი აქტიურად მონაწილეობს გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევაში.

- ჩვენ აქტიურად ვურთიერთობთ ადგილობრივ თემებთან და ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას. ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გუნდი ყოველთვის მზადაა ადგილობრივ მცხოვრებლებთან და სამთავრობო წარმომადგენლებთან შეხვედრებისათვის, რათა მათ გარემოსდაცვით, ჰესის ოპერირების და შრომის უსაფრთხოების პრაქტიკებთან დაკავშირებით შესაბამისი მხარდაჭერა გაუწიოს. ამ მიმართულების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გუნდი ორგანიზებას უწევს ინტერაქტიულ ტრენინგებსა და საგანმანათლებლო სემინარებს, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია ადგილობრივი ახალგაზრდებისა და მოსწავლეებისთვის. ეს ინიციატივა ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და თემის ჩართულობის გაძლიერებას.

- გარდა ამისა, ადგილობრივ თემებისათვის მიწოდებულია ინფორმაცია საჩივრების მექანიზმის შესახებ, რომელის შესახებაც, რეგულარულად ხდება შეხსენებითი სახის კომუნიკაცია, საჩივრების პროცედურისა და მისი განხილვის ცნობადობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პროცედურა მოიცავს მოქნილ საჩივრების მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ და კონსტრუქციულ მიდგომას, რათა დაინტერესებულ მხარეთა მიერ ჰიდროელექტროსადგურის ოპერირებასთან დაკავშირებული საკითხები ეფექტიანად და მეგობრული გზით გადაიჭრას. თანამშრომლებისთვის ასევე ხელმისაწვდომია ანონიმური საჩივრების ყუთი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო და კონფიდენციალურ გზას, მათი შეშფოთების გამოხატვისთვის.

გარდა არდა ამისა, მოქმედებს საჩივრების ელექტრონული არხიც, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას და საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებსა და თანამშრომლებს, მოხერხებულად და უსაფრთხოდ აცნობონ თავიანთი შეშფოთებები. ეს მრავალმხრივი მიდგომა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ოპერატიულ რეაგირებას და ურთიერთპატივისცემას როგორც საზოგადოებასთან, ასევე თანამშრომლებთან ურთიერთობაში.

- ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს მომწოდებლებსა და პარტნიორებთან, რათა უზრუნველვყოთ მათი შესაბამისობა ბახვი 2 ჰესის მდგრადობის სტანდარტებთან, რაც ქმნის საიმედო მიდგომას გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმართ მთელ მიწოდების ჯაჭვში.

მაჩვენებელი	მიზანი '25	ფაქტობრივი '25
თანამშრომლების ჩართულობის მაჩვენებელი	100%	100%
საზოგადოების ჩართულობის მაჩვენებელი	100%	100%
მომწოდებლებისა და პარტნიორების მონაწილეობისა და ჩართულობის მაჩვენებელი	100%	100%

- *ანგარიშგება და გამჭვირვალობა*

- **მონაცემთა ყოველწლიური გასაჯაროება:** უზრუნველყოფს ყველა ძირითადი მაჩვენებლის ყოვლისმომცველ ანგარიშგებას საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.

- **ყოველწლიური გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი აუდიტი:** აკონტროლებს მესამე მხარის აუდიტების წარმატებულ განხორციელებას, რათა დადასტურდეს მდგრადობის მონაცემთა სიზუსტე და სანდოობა.

- **შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs):** აფასებს ჩვენი საქმიანობისა და სტრატეგიების თავსებადობას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან, სრულად ინტეგრაციისკენ მიმართული პროცესით.

მაჩვენებალი	მიზანი '25	ფაქტობრივი '25
წლიური გასაჯაროვება	დიახ	დიახ
დამოუკიდებელი აუდიტის შესაბამისობა	დიახ	დიახ
პროგრესი მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიმართ	დიახ	დიახ

კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური გასაჯაროვება

<u>მმართველობა</u>

- სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად უწევს ზედამხედველობას კლიმატთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს და საბჭოს სხდომებზე რეგულარულად იღებს განახლებებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გუნდის მენეჯერისგან. ამგვარი მუდმივი ზედამხედველობა უზრუნველყოფს, რომ ბახვი 2 ჰესის კლიმატური ინიციატივები სრულად შეესაბამება ეროვნულ ენერგეტიკულ მიზნებს, მდგრადობის სტანდარტებსა და კომპანიის გრძელვადიან ხედვას.

- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გუნდი მჭიდროდ თანამშრომლობს კომპანიის დირექტორთან, ოპერირების, ფინანსების და შრომის უსაფრთხოების გუნდებთან, რათა ეფექტიანად მართოს კლიმატური რისკები. გუნდი

პასუხისმგებელია ისეთი მიმართულებების ზედამხედველობაზე, როგორიცაა წყლის მართვა, ენერგოეფექტურობა, ემისიების შემცირება და ნარჩენების მართვა. გუნდი ასევე ადგენს მიზნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისობას საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტების მოთხოვნებთან და ხელს უწყობენ კომპანიის მდგრადობისა და გამძლეობის გრძელვადიან მიზნებს.

<u>სტრატეგია</u>

- კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები:

  - **მოკლევადიანი (1-3 წელი):** უზრუნველყოს შესაბამისობა მშენებლობის პროცესში ემისიების კონტროლის რეგულაციებთან და გააუმჯობესოს ენერგოეფექტიანობა თანამედროვე ტექნილოგიებისა და რესურსების მართვის საშუალებით
  - **საშუალო ვადიანი (3-10 წელი):** ნალექის განაწილებაში ცვლილებებზე ადაპტაცია, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს წყლის ნაკადსა და ელექტროენერგიის გენერაციის სიმძლავრეზე.
  - **გრძელვადიანი (10+ წელი):** ჰიდროლოგიური ცვლილებებისა და პოტენციური ექსტრემალური ამინდის მოვლენებისთვის მზადყოფნა მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნითა და მოწინავე ტექნოლოგიებში ინვესტირებით, რაც უზრუნველყოფს ოპერირების სტაბილურობასა და მდგრადობას.

- კლიმატური რისკები, როგორიცაა წყლის ხელმისაწვდომობის ცვალებადობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბახვი 2 ჰესის ოპერირების ეფექტიანობასა და ფინანსურ დაგეგმარებაზე. ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და განახლებადი ენერგიის სიმძლავრეებში ინვესტიციები ამცირებს ხარჯებსა და ემისიებს, რაც უზრუნველყოფს როგორც ფინანსური მიზნების მიღწევას, ასევე მდგრადობის პრიორიტეტების დაცვას.

<u>რისკების მართვა</u>

- კლიმატური რისკების შეფასება მოიცავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ჰიდროლოგიურ ანალიზს და სცენარების მოდელირებას. აღნიშნული მიდგომა ასევე მოიცავს მიწოდების ჯაჭვში არსებულ რისკებს, რაც ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობის გაძლიერებას და კლიმატური რისკების ყოვლისმომცველი მართვის უზრუნველყოფას.

- კლიმატური რისკების მართვის პროცესები:

  - მშენებლობის ეტაპზე გამოიყენება თანამედროვე წყლის მონიტორინგის სისტემები, რაც უზრუნველყოფს მდ.ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის მუდმივ მონიტორინგსა და გარემოსდაცვითი ნებართვით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას
  - მშენებლობის ეტაპზე მიმდინარეობს ფერდობების გამაგრება, რათა გაიზარდოს მდგრადობა ექსტრემალური ამინდის პირობების მიმართ. აღნიშნული უზრუნველყოფს სამშენებლო ტერიტორიის სტაბილურობასა და დასაქმებულების უსაფრთხოებას. პროექტის დეტალური დიზაინით კი გათვალისწინებულია მდგრადი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს ოპერაციულ უწყვეტობასა და ამცირებს რისკებს
  - კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვა ხორციელდება კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასების, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე, რათა უზრუნველყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება. დამონტაჟებულია თანამედროვე წყლის მონიტორინგის სისტემები, მათ შორის დონ მზომი სადგური, რომელიც მუდმივად აკონტროლებს მდინარე ბახვისწყლის

ბუნებრივ ჩამონადენს. ტურბინები დაპროექტებულია ისე, რომ გავლენა არ მოახდინონ წყლის ხარისხზე

<u>პარამეტრები და მიზნები</u>

- მონიტორინგის პარამეტრები: ბახვი 2 ჰესის ძირითადი მდგრადობის პარამეტრები მოიცავს შემდეგს:
  - წყლის მოხმარება და დინების მაჩვენებლები: აკონტროლებს წყლის მოხმარების ტენდენციებს და მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენს, რაც უზრუნველყოფს რესურსების მდგრად გამოყენებას.
  - ენერგოეფექტურობა: მშენებლობის პროცესში ენერგიის მოხმარება კონტროლდება რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციისა და ემისიების შემცირების მიზნით;
  - პირდაპირი, არაპირდაპირი და სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 1, Scope 2 და Scope 3):
    - პირდაპირი ემისიები (Scope 1): მოიცავს ემისიებს, რომლებიც წარმოიქმნება კომპანიის საკუთრებაში არსებული ან მისი კონტროლირებადი წყაროებიდან.
    - არაპირდაპირი ემისიები (Scope 2): მოიცავს შეძენილი ელექტროენერგიის მოხმარებით გამოწვეულ ემისიებს.
    - სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 3): მოიცავს მიწოდების ჯაჭვიდან, გარე სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა არაპირდაპირი აქტივობებიდან წარმოქმნილ ემისიებს.

<u>კლიმატთან დაკავშირებული მიზნები:</u>

- **ნახშირბადის ემისიები:** პირდაპირი (Scope 1) და არაპირდაპირი (Scope 2) ემისიების შემცირება 30%-ით 2030 წლისთვის, რაც ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობის პრიორიტეტებს.

- **ენერგოეფექტურობა:** შიდა მოხმარების ელექტროენერგიის გამოყენების შემცირება.

- **წყლის კონსერვაცია:** გარემოსდაცვითი ნებართვებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის მონიტორინგი. ჰიგიენური მიზნებისა და სასმელი წყლის მოხმარება უნდა შეესაბამებოდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს და თანხვედრაში იქნება წყლის დაზოგვის ხელშემწყობ ინიციატივებთან. თანამშრომლები გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს წყლის მიზნობრივი და დაზოგვითი გამოყენების შესახებ, რაც მოიცავს ისეთ პრაქტიკებს, როგორიცაა ონკანების დაკეტვა მათი არა-აქტიური გამოყენების დროს.

ამ მიზნების მიღწევის პროგრესი რეგულარულად გადამოწმდება და დეტალურად აისახება ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის წლიური მდგრადობის ანგარიშში. აღნიშნული პროცესი აძლიერებს სადგურის პასუხისმგებლიანი, გამჭვირვალე და მდგრადი ოპერირებისადმი ერთგულებას განახლებადი ენერგიის სექტორში.

დისტრიბუცია და ლოგისტიკა

გარემოზე ზემოქმედების შემცირებისკენ მიმართული ჩვენი ძალისხმევის ფარგლებში, ბახვი 2 ჰესმა დანერგა გადაზიდვისა და ლოგისტიკის ისეთი პრაქტიკები, რომლებიც შესაბამისობაშია ჩვენი ოპერირების სპეციფიკაციასა და ადგილობრივი თემების საჭიროებებთან.

ჩვენი მდგრადი ლოგისტიკის მიდგომა მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან ქმედებებს:

- ჩვენ დეტალურად ვგეგმავთ სატრანსპორტო მარშრუტებს ბახვი 2 ჰესისკენ და უკან, მაქსიმალურად ვანიჭებთ პრიორიტეტს ადგილობრივ მომწოდებლებსა და დისტრიბუტორებს.

- ტრანსპორტირების მანძილის შემცირებით, ვამცირებთ საწვავის მოხმარებასა და ემისიებს, რაც ხელს უწყობს როგორც გარემოსდაცვით მიზნებს, ასევე ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

- იმ მასალებისთვის, რომლებიც მოითხოვს შეფუთვას ან ტრანსპორტირებას, პრიორიტეტს ვანიჭებთ მდგრად ალტერნატივებს, როგორიცაა გადამუშავებადი ან მრავალჯერადი გამოყენების მასალები.

- ეს მიდგომა ამცირებს ნარჩენების წარმოქმნას, განსაკუთრებით ადგილობრივ ნაგავსაყრელებში, რაც ხელს უწყობს რეგიონული ნარჩენების მართვის გამოწვევების შემცირებასა და ეკოსისტემაზე ზემოქმედების შემცირებას.

- ჩვენ ვთანამშრომლობთ იმ პარტნიორებთან, რომლებიც იზიარებენ ჩვენს ვალდებულებას მდგრადი პრაქტიკის მიმართ.

- შესაძლებლობის ფარგლებში, უპირატესობას ვანიჭებთ მომწოდებლებს, რომლებიც იყენებენ ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალებებს ან საწვავის მოხმარების ეფექტიან ალტერნატივებს, რითაც ვამცირებთ ლოგისტიკასთან დაკავშირებულ ნახშირბადის კვალს.

- ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ჩვენ რეგულარულად ვაკვირდებით ლოგისტიკური ოპერირების მიერ წარმოქმნილ ემისიებს.

- ეს საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ გაუმჯობესების კონკრეტული მიმართულებები, როგორიცაა ტრანსპორტირების სიხშირის შემცირება ან დაბალი ემისიის მქონე სატრანსპორტო ალტერნატივების არჩევა, რაც სათბურის გაზების ემისიების შემცირების გრძელვადიან მიზანს ემსახურება.

- ამ მიდგომების წყალობით, ბახვი 2 ჰესი მიზანმიმართულად ამცირებს ლოგისტიკური ოპერირების შედეგად წარმოქმნილ გარემოზე ზემოქმედებას, უზრუნველყოფს მდგრადი პრაქტიკების დანერგვას, რომელიც შეესაბამება როგორც ადგილობრივ კონტექსტს, ისე ჩვენს გარემოსდაცვით მიზნებს.

გულდასმითი შესწავლა და შესყიდვები ბახვი 2 ჰესზე

გარემოსდაცვითი გულდასმითი შესწავლის პროცესი ინტეგრირებულად ხორციელდება ყველა პარტნიორობისა თუ შესყიდვის მიმართულებით, რათა უზრუნველოფილი იყოს მათი სრული შესაბამისობა კომპანიის გარემოსდაცვით ვალდებულებებთან.

ჩვენი მიდგომა მოიცავს:

- თითოეული პოტენციური პარტნიორობის ან შესყიდვის დროს ვატარებთ საფუძვლიან გარემოსდაცვით შეფასებას, რათა შევაფასოთ არსებული რისკები და შესაძლებლობები. ეს გვეხმარება უზრუნველვყოთ, რომ ახალი ინიციატივა შეესაბამებოდეს ჩვენს გარემოსდაცვით მიზნებს და არ შეიცავდეს გაუთვალისწინებელ ვალდებულებებს.

- ჩვენ მოვითხოვთ, რომ ნებისმიერი ახალი სუბიექტი სრულად იყოს ინტეგრირებული შპს "ბახვი 2"-ის გარემოსდაცვითი მართვის სისტემასთან და დაიცვას ჩვენი მდგრადობის სტანდარტები. ეს უზრუნველყოფს, რომ ჩვენი გარემოსდაცვითი პრაქტიკა და პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდეს ჩვენი ოპერირების ყველა არეალში.

- გულდასმითი შესწავლის დროს, ვაფასებთ გარემოსდაცვით ვალდებულებებს, როგორიცაა ისტორიული დაბინძურება ან ნარჩენების მართვის საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენი მდგრადობის მიზნებზე. ეს შეფასება საშუალებას გვაძლევს წინასწარ გამოვავლინოთ და პრევენციული ზომებით ვმართოთ მემკვიდრეობით მიღებული ეკოლოგიური პრობლემები.

ამ ნაბიჯების საშუალებით, შპს „ბახვი 2" უზრუნველყოფს, რომ თითოეული პროფესიული თანამშრომლობა დადებითად უწყობს ხელს ჩვენი მდგრადობის მიზნებს და აძლიერებს ჩვენს პოზიციას, როგორც პასუხისმგებელიანი ენერგო მწარმოებელი.

ბიომრავალფეროვნების მართვა ბახვი 2 ჰესზე

შპს „ბახვი 2" ბიომრავალფეროვნების დაცვას აღიარებს, როგორც გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფუნდამენტურ მიმართულებას და მდგრადი განვითარების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს. კომპანიის გარემოსდაცვით პოლიტიკაში განსაზღვრული პრინციპებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით, ბიომრავალფეროვნების მართვა ინტეგრირებულია როგორც სტრატეგიულ დაგეგმვის, ისე ოპერირების თითოეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნება და გარემოზე ზემოქმედების შემცირება.

ბიომრავალფეროვნების რისკების შეფასება

შპს „ბახვი 2" ბიომრავალფეროვნების რისკების შეფასებას ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) დასკვნებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) პროტოკოლების სრული შესაბამისად. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს იმ სახეობებისა და ჰაბიტატების გამოვლენასა და ანალიზს, რომელთა არსებობაზე ან მდგომარეობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერაციულმა საქმიანობამ, განსაკუთრებით, ბახვი 2 ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ზემოქმედების არეალში. მიღებული შედეგები წარმოადგენს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანი განხორციელების საფუძველს, რაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური რისკების მართვას და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის აღსრულებას.

ტყის გაჩეხვისგან თავის შეკავების ვალდებულება

შპს „ბახვი 2" გურიის ბახვი 2 ჰესის მშენებლობას რეგიონის უმეტესად ტყით დაფარულ ტერიტორიაზე ახორციელებს. მშენებლობის ეტაპზე გარკვეული საქმიანობები საჭიროებდა პროექტის განსაზღვრულ კონტურში ხე-მცენარეებისა და ბუჩქნარის მოცილებას, მათ შორის მისასვლელი გზების, ინფრასტრუქტურის განთავსებისა და ფერდობის გამაგრების არეალებში. ყველა ასეთი საქმიანობა დაიგეგმა და განხორციელდა მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან, გარემოსდაცვით ნებართვებთან და გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებებთან სრული შესაბამისობით.

მცენარეული საფარის გაწმენდა განხორციელდა მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ და მინიმალური ჩარევის პრინციპით, მკაცრად მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც

აუცილებელი იყო სამშენებლო სამუშაოებისთვის. პროცესი წარიმართა საქართველოს ტყის კოდექსისა და საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვების მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად კომპანიამ განახორციელა საკომპენსაციო და აღდგენითი ღონისძიებები, როგორც ეროვნული მოთხოვნების, ისე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, მათ შორის ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) სტანდარტების გათვალისწინებით.

ამ ღონისძიებების ფარგლებში, მშენებლობის პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ბალახის თესვა და ხეების დარგვა, რაც ემსახურებოდა ფერდობების გამაგრებას, ეროზიის კონტროლსა და ზემომქედების არეალში მოქცეული ტერიტორიების ეკოლოგიური ღირებულების აღდგენას. სახეობები შერჩეული იყო ადგილობრივი ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მცენარეული საფარის წარმატებული ზრდა. აღსრულებულ ერთ-ერთ ძირითად შემარბილებელ ღონისძიებას წარმოადგენდა ჰიდროთესვა, რომელიც ბახვი 2 ჰესის ტერიტორიაზე, დაახლოებით 7 ჰექტარზე შესრულდა. ჰიდროთესვა წარმოადგენს მცენარეული საფარის აღდგენის მეთოდს და გულისხმობს ბალახის თესლის, წყლის, სასუქისა და მულჩის ნარევის შესხურებას ნიადაგის ზედაპირზე. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს მცენარეული საფარის სწრაფ ფორმირებას, ფერდობების გამაგრებას, ეროზიის რისკის შემცირებას, ნატანის ჩამორეცხვის შეზღუდვას და სამშენებლო სამუშაოებით ზემოქმედებულ უბნებზე ბუნებრივი საფარის აღდგენას.

ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებისა და შეფასების ანალიზი

ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედება ფასდება რეგულარული იქთიოლოგიური და წყალზე დამოკიდებული ცხოველების მონიტორინგის გზით, მდინარე ბახვისწყალზე, როგორც ეს განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტით. აღნიშნულ კვლევებს კვალიფიციური დამოუკიდებელი სპეციალისტები ახორციელებენ და უზრუნველყოფენ მონაცემთა შეგროვებას თევზის პოპულაციების, მაკროუხერხემლოების და მდინარისპირა ვეგეტაციის მდგომარეობის შესახებ. მიღებული მონიტორინგის შედეგები გამოიყენება გარემოსდაცვითი მართვის გაუმჯობესებისათვის და ადაპტაციისათვის.

ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

შპს „ბახვი 2“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბიომრავალფეროვნების დაცვას და მდგრად მართვას. კომპანიამ დანერგა რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს ეკოსისტემის მდგრადობასა და მდინარის ბუნებრივი გარემოს გაძლიერებას. მათ შორისაა:

10. მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის უწყვეტი მონიტორინგი;
11. სეზონური ბიომრავალფეროვნების კვლ
12. სეზონური ბიომრავალფეროვნების კვლევები;
13. ჰაერის ხარისხის მონიტორინგი;
14. ხმაურისა და ვიბრაციის დონის მონიტორინგი;
15. გეოლოგიური მონიტორინგი

როლები და პასუხისმგებლობები

ბახვი 2 ჰესის ფარგლებში ყველა იერარქიულ დონეზე თითოეული თანამშრომელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოცემული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებასა და გაუმჯობესებაში.

გუნდური თანამშრომლობა, მკაფიო კომუნიკაცია და მოცემული პოლიტიკის დოკუმენტის მიზნებისადმი ერთგულება აუცილებელია ჰიდროელექტროსადგურის მიერ დასახული გარემოსდაცვითი მიზნების წარმატებით მისაღწევად.

სამეთვალყურეო საბჭო

1. ამტკიცებს გარემოსდაცვით მართვის სისტემას, ზედამხედველობას უწევს მას და საჭიროებისამებრ მოითხოვს მის განახლებას
2. ყოველწლიურად ამტკიცებს გარემოსდაცვით პოლიტიკას, ზედამხედველობას უწევს მას და საჭიროებისამებრ მოითხოვს მის განახლებას;
3. ხელს უწყობს კომპანიის აღმასრულებელ მენეჯმენტს ხელი მოაწეროს პოლიტიკის განცხადებას;
4. მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეხვედრების დროს, პოლიტიკის განხორციელების შესახებ რეგულარულ ანგარიშგებას;
5. გარემოსდაცვით პოლიტიკას ამტკიცებს და აკონტროლებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ან აღმასრულებელი ხელმძღვანელობა;
6. ხაზს უსვამს საკუთარ ვალდებულებას, დოკუმენტაციის პერიოდული და განახლებების შესახებ.

კომპანიის დირექტორი

1. ამტკიცებს გარემოსდაცვითი მართვის განახლებულ სისტემას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილვისა და ვალიდაციის შემდეგ;
2. ამტკიცებს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილვისა და ვალიდაციის შემდეგ;
3. ამტკიცებს განახლებულ გარემოსდაცვით პოლიტიკას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილვისა და ვალიდაციის შემდეგ;
4. ნიშნავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერს გარემოსდაცვითი ინიციატივების ზედამხედველობის მიზნით;
5. მხარს უჭერს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობითი საკითხების მენეჯერს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის დანერგვაში;
6. განსაზღვრავს და გამოყოფს საჭირო რესურსებს, მოცემული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებისა და გარემოსდაცვითი მიზნებისათვის;
7. უზრუნველყოფს თვალსაჩინო ვალდებულებას აღმასრულებელი ხელმძღვანელობის მხრიდან.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი

1. უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მართვის სისტემისა და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელებას;
2. ახდენს გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას;
3. გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს ოპერირების გუნდთან;
4. აწარმოებს მონიტორინგსა და ანგარიშგებას გარემოსდაცვითი საქმიანობის შესახებ;
5. თანამშრომლობს მარეგულირებელ ორგანოებთან და დაინტერესებულ მხარეებთან;
6. ადგენს მკაფიო, მნიშვნელოვან გარემოსდაცვით მიზნებს და რეგულარულად განიხილავს მათ;
7. ახორციელებს პროგრამებს და ატარებს, ხშირ ტრენინგებს რომლებიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი მეთვალყურეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ოპერირების და ტექნიკური გუნდები

1. ყოველდღიურად იცავენ გარემოსდაცვით პროცედურებსა და მითითებებს;
2. დაუყოვნებლივ აფიქსირებენ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ ინციდენტებსა და მნიშვნელოვან დეტალებს;
3. მონაწილეობენ გარემოსდაცვით სასწავლო პროგრამებში და უზრუნველყოფენ მათი საქმიანობის შესაბამისობას მოთხოვნებთან.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

1. ამზადებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებულ სიახლეებს;
2. კოორდინაციას უწევს მედიასთან ურთიერთობას გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე
3. აკვირდება გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებზე სიახლეებსა და მედიაში მათი გაშუქების ტენდენციებს
4. აქტიურად თანამშრომლობს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხების გუნდთან
5. მხარს უჭერს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების ანგარიშგებასა და გამოქვეყნებას
6. უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამჭვირვალობასა და მთლიანობას ყველა საინფორმაციო არხის გამოყენებით

მოცემული გარემოსდაცვითი პოლიტიკის დაფარვის არეალი

მდგრადობისა და პასუხისმგებლიანი ენერგიის წარმოებასთან მიმართებაში, ბახვი 2 ჰესის მიდგომაა ჯეროვანი გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ჩვენი მომარაგების ჯაჭვისა და საქმიანობის ყველა ასპექტს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი საქმიანობა სცილდება ჩვენი ჰესის საზღვრებს და ის გავლენას ახდენს ჩვენს გარშემო არსებულ გარემოსა და საზოგადოებაზე.

ბახვი 2 ჰესს აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ჩვენი საქმიანობის ყველა ასპექტს, მომარაგების ჯაჭვს, კორპორატიულ პროცედურებს, ობიექტებს და ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების მთელ სასიცოცხლო ციკლს.

ყოველდღიურ საქმიანობაში კომპანია დიდ პრიორიტეტს ანიჭებს გარემოზე ზრუნვის პრაქტიკების დანერგვას. აღნიშნული მოიცავს წყლის რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ნარჩენების მართვას, დაბინძურების პრევენციას და მწვანე ტექნოლოგიების ინტეგრაციას, ჩვენი მხრიდან გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

ჩვენი ვალდებულება სცილდება ჰიდროელექტროსადგურის ფიზიკურ საზღვრებს და გავლენას ახდენს ჩვენი მომარაგების ჯაჭვის ყველა წევრზე. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისადმი მიდგომის უზრუნველსაყოფად, ჩვენ ვთანამშრომლობთ მომწოდებლებთან, რომლებიც იზიარებენ ჩვენს გარემოსდაცვით მიდგომებს, რათა უზრუნველვყოთ, მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციისთვის გამოყენებული მასალების შესაბამისობა გარემოსდაცვით სტანდარტებთან.

ჩვენი ვალდებულებები საფუძვლად უდევს კორპორატიულ პროცედურებს და მოიცავს პოლიტიკას, რომელიც აქტიურად წარმართავს გადაწყვეტილებების მიღებას ყველა დონეზე. ჩვენ ვქმნით ბიზნეს კულტურას, რომელიც აფასებს მდგრადობას გარემოსდაცვითი მოსაზრებების ინტეგრირებით რისკების მართვაში, რესურსების განაწილებასა და სტრატეგიულ დაგეგმარებაში. ჩვენი ბიზნეს ობიექტები დაპროექტებულია და იმართება მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად, რაც მოიცავს მწვანე ინფრასტრუქტურას, ნარჩენების მართვის სტრატეგიებსა და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს. ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების მეშვეობით ფოკუსირებული ვართ სუფთა და მდგრადი ენერგიის გადაწყვეტილებების შემუშავებაზე, რითაც მხარს ვუჭერთ გლობალურ მიზანს, დაბალი ნახშირბადის კვალის მქონე მომავლისაკენ მისწრაფებაში. მუდმივად ვცდილობთ დავნერგოთ ინოვაციები ჩვენს საქმიანობაში, ვეძებთ გზებს ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად, ემისიების შესამცირებლად და ენერგიის წარმოების საერთო მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

რეგულარული მიმოხილვები, აუდიტები და შეფასებები უზრუნველყოფს, ჩვენი გარემოსდაცვითი ასპექტების საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით დანერგვას.

ჩვენ ვთანამშრომლობთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, განვიხილავთ მათ შეხედულებებს, ვაფიქსირებთ პრობლემებს და აქტიურად ვმონაწილეობთ გარემოს დაცვის ინიციატივებში.

ჩვენი ვალდებულება გარემოსადმი, ჩვენი იდენტობის ფუნდამენტური ასპექტია და წარმოადგენს პასუხისმგებლობის განუყოფელ ნაწილს.

ბახვი 2 ჰესის მიზანია ენერგიის წარმოება განახორციელოს გარემოსდაცვით ასპექტებთან სინქრონიზაციაში.

ბახვი 2 ჰესი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი აქტივობების განხორციელებასა და მომავალი თაობებისთვის სუფთა და მდგრადი ენერგიის მიწოდებაზე. ამის მისაღწევად, ჩვენ ვითვალისწინებთ გარემოსდაცვით ასპექტებს, როგორც ჩვენს საქმიანობაში, ასევე მომარაგების ჯაჭვში.

აღნიშულ პოლიტიკაში ვლინდება ჩვენი უწყვეტი ვალდებულება, დავაბალანსოთ ენერგიის წარმოების საჭიროებები და გარემოსდაცვითი ასპექტები.

მესამე მხარის მიერ განხორციელებული მონიტორინგი

შპს „ბახვი 2“ რეგულარულად გადის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით აუდიტს, რომელსაც ახორციელებს კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი („ჰოლდინგი“). ეს პროცესი უზრუნველყოფს ნებისმიერი გადაცდომის დროულად გამოვლენას და მაკორექტირებელი ქმედებების ეფექტიან განხორციელებას. ჰოლდინგის მიერ აღნიშული პროცესის საშუალებით, კომპანია უზრუნველყოფს, რომ მისი ვალდებულებები მდგრადობისა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის მიმართ დარჩეს გამჭვირვალე და დააკმაყოფილოს ინვესტორების სტანდარტები და მოლოდინები.

მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის მზარდი მნიშვნელობის გაცნობიერებით, ინვესტორებმა გადადგეს პროაქტიული ნაბიჯი და დანიშნეს გარე გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კონსულტანტი ჰიდროელექტროსადგურის დამატებითი მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

გარემოსდაცვითი პოლიტიკის წლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კარგი პრაქტიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, ყოველი წლის ბოლოს, კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულყოფილად გადაიხედება. აღნიშნულ პროცესს ახორციელებს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და უზრუნველყოფს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტად ასახავს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერირების პრაქტიკებს.

ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაცია გადის მკაცრ დამტკიცების პროცესს. თავდაპირველად, შემოთავაზებული ცვლილებები გადაეცემა კომპანიის დირექტორს, რევიზიისა და დამტკიცებისათვის. დირექტორის ვალიდაციის შემდეგ, დოკუმენტაცია ეგზავნება კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის (CCEH) გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს, საბოლოო რევიზიისა და დამტკიცებისათვის. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ

თითოეული ცვლილება ასახავს მაღალი ხარისხის სტანდარტებს, გამჭვირვალობას და რეგულაციების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმირებული არიან ცვლილებების შესახებ, რაც აძლიერებს ჩვენს ვალდებულებას შევინარჩუნოთ მაღალი საერთაშორისო სტანდარტები.

კომპანიის განახლებული გარემოსდაცვითი პოლიტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე. ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.